

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულება;

ბ) კანონპროექტის მიზანი

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური ნუსხის დამტკიცება;

გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში და მომავალი წლის პროგნოზები. მომავალი წლის ფისკალური და მაკროეკონომიკური მაჩვენებლები კონსერვატიული მიდგომით არის დაგეგმილი და 2015 წლისთვის მშპ-ს რეალური ზრდის პროგნოზი 5.0%-ს, ხოლო მშპ-ს დეფლატორი 4,0%-ს შეადგენს. საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკის რეალური ზრდის პროგნოზი 5,5%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო მშპ-ს დეფლატორი 3,5%-4,0%-ის ფარგლებში

მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე 2015 წლის ნომინალური მშპ-ს მოცულობა 31,8 მლრდ ლარს შეადგენს, ხოლო 2018 წლისთვის პროგნოზირებულია მისი გაზრდა 41,6 მლრდ ლარამდე.

მაკროეკონომიკური პარამეტრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს საბიუჯეტო დეფიციტის მოცულობა. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული შეთანხმების მიხედვით 2015 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი არ უნდა იყოს მშპ-ს 3,0%-ზე მაღალი (GFSM-1986 მიხედვით) და სწორედ აღნიშნული მაჩვენებლის ფარგლებშია წარმოდგენილი 2015 წლის ბიუჯეტი. მომდევნო წლებში დაგეგმილია საბიუჯეტო დეფიციტის კლებადი ტენდენციის შენარჩუნება და მისი მოცულობა 2018 წლისთვის არ გადააჭარბებს მშპ-ს 2,0%-ს.

კანონპროექტის პირველად ვარიანტთან შედარებით 140,0 მლნ ლარით გაზრდილია საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი და შეადგენს 8 030,0 მლნ ლარს, რაც 2014 წლის გეგმიურ მაჩვენებელს 800,0 მლნ ლარით აღემატება, ხოლო მშპ-ს 25,2%-ს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 8 090,0 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 160,0 მლნ ლარით.

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2014 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით 780.0 მლნ ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით 140.0 მლნ ლარითაა გაზრდილი და 7 600.0 მლნ ლარს შეადგენს.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლები ცალკეული გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 085.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 6.5 პროცენტს შეადგენს; აღნიშნული მაჩვენებელი 2014 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 315.0 მლნ ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით 15.0 მლნ ლარით;
- მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 900.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 2.8 პროცენტია;
- დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 529.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 11.1 პროცენტს შეადგენს; აღნიშნული მაჩვენებელი 2014 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 255.0 მლნ ლარით.
- აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 947.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ის 3.0 პროცენტს შეადგენს; აღნიშნული მაჩვენებელი 2014 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 208.0 მლნ ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით 139.0 მლნ ლარით. ზრდა გამოწვეულია საგადასახადო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების შესაბამისად აქციზის განაკვეთების ზრდით, კერძოდ:
 - 1 იანვრიდან დაგეგმილია აქციზის განაკვეთის ზრდა თამბაქოზე (ფილტრიანზე 15 თეთრით, ხოლო უფილტრო სიგარეტზე 5 თეთრით), ასევე გათვალისწინებულია 1 ივლისიდან სიგარეტზე აქციზის გადასახადი ე.წ. შერეული სისტემის შემოღება, რაც ჯამში დამატებითი რესურსი იქნება 70,0 მლნ ლარი;
 - პირველი იანვრიდან დაგეგმილია ალაოს ლუდზე, ეთილის სპირტსა და აკოპოლურ სასმელებზე აქციზის განაკვეთის გაორმაგება, რითაც დამატებითი მობილიზებული იქნება 40,0 მლნ ლარი;
 - პარლამენტში ინიცირებულია საგადასახადო კოდექსში ცვლილებები, რომლის მიხედვითაც აქციზით დაიბეგრება უცხოეთიდან შემოსული სატელეფონო ზარები და აღნიშნულის ხარჯზე მიღებული დამატებითი შემოსავალი იქნება დაახლოებით 30,0 მლნ ლარი;
- იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 114.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 0.4 პროცენტს შეადგენს; აღნიშნული მაჩვენებელი 2014 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 14.0 მლნ ლარით.
- სხვა გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 25.0 მლნ ლარით.

2015 წლისთვის **გრანტების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 215.0 მლნ ლარით, მათ შორის საბიუჯეტო გრანტები 115.0 მლნ ლარი (პირველად ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 30,0 მლნ ლარით), ხოლო საინვესტიციო (ხარჯზე მიბმული) გრანტები 100.0 მლნ ლარი (პირველად ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 5,0 მლნ ლარით);

2015 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის **სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებელი ბიუჯეტის პირველ წარდგენასთან შედარებით შემცირებულია 15.0 მლნ ლარით და განსაზღვრულია 275.0 მლნ ლარის ოდენობით.

არაფინანსური აქტივების კლების სახით მისაღები თანხების გეგმა განსაზღვრულია 80,0 მლნ ლარის ოდენობით;

ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 70,0 მლნ ლარის ოდენობით, რაც მთლიანად წარმოადგენს წინა წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების დაბრუნებას;

ვალდებულებების ზრდის სახით მისაღები სახსრების გეგმა ბიუჯეტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაზრდილია საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად მიღებული გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტების 10.0 მლნ ლარით ზრდის ხარჯზე და განსაზღვრულია 1 330.0 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:

- საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად მიღებული გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტები - 690.0 მლნ ლარი;
- მსოფლიო ბანკის და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საბიუჯეტო კრედიტები - 240,0 მლნ ლარი;
- სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების ემისიით და მათი დაფარვის შედეგად საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების წმინდა ზრდა - 400,0 მლნ ლარი;

წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით 2015 წელს მისაღები შემოსულობების მთლიანი მაჩვენებელი 2014 წლის იგივე მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 465.0 მლნ ლარით, ხოლო ბიუჯეტის პირველ წარდგენასთან შედარებით - 170.0 მლნ ლარით და განსაზღვრულია 9 570.0 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელების გეგმა შეადგენს 9 520.0 მლნ ლარს (2014 წელთან შედარებით გაზრდილია 440.0 მლნ ლარით, ხოლო ბიუჯეტის პირველ წარდგენასთან შედარებით - 170.0 მლნ ლარით), რისი გათვალისწინებითაც გათვალისწინებულია სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე განთავსებული თავისუფალი ნაშთის დაგროვება 50.0 მლნ ლარის ოდენობით.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 9 520.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები შეადგენს 8 730.0 მლნ ლარს, გრანტები 100.0 მლნ ლარს, ხოლო კრედიტები 690.0 მლნ ლარს.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ჯამური მოცულობა 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 439.9 მლნ ლარით, ხოლო 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველად ვარიანტთან შედარებით 88.5 მლნ ლარით და შეადგენს 7 979.5 მლნ ლარს, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 1 405.5 მლნ ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 943.1 მლნ ლარი;
- პროცენტი - 359.1 მლნ ლარი;
- სუბსიდიები - 206.1 მლნ ლარი;

- გრანტები - 1 170.9 მლნ ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 2 671.7 მლნ ლარი;
- სხვა ხარჯები - 1 223.1 მლნ ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გათვალისწინებულია - 854.6 მლნ ლარი, რაც 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 120.5 მლნ ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით - 88.9 მლნ ლარით;

ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გამოყოფილია - 276.7 მლნ ლარი;

ვალდებულებების კლება შეადგენს 409.2 მლნ ლარს, საიდანაც 346.0 მლნ ლარი მიმართული იქნება საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე, ხოლო 63.2 მლნ ლარი - საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ასიგნებები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით შემდგენიარად არის გადანაწილებული:

- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 117.0 მლნ ლარით, ხოლო 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით 25.0 მლნ ლარით და შეადგენს 2 775,0 მლნ ლარს (ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელების 29,1%). აღნიშნული თანხის ფარგლებში:
 - სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფისათვის გამოყოფილია 2 020,0 მლნ ლარი, რაც 2014 წლის დაფინანსებას აღემატება 49,5 მლნ ლარით. გამოყოფილი თანხის ფარგლებში 2015 წლის 1 სექტემბრიდან დაგეგმილია სოციალურად დაუცველი პენსიონერებისა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსიის/სოციალური პაკეტის ზრდა 25 ლარის ოდენობით. ამასთან, 2016 წელს პენსიების ზრდა დაგეგმილია ყველა კატეგორიის პენსიონერისათვის;
 - ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისთვის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გათვალისწინებულია ზრდა 55.3 მლნ ლარით, ხოლო 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით 8.6 მლნ ლარით მეტი და შეადგენს 652,6 მლნ ლარს;
 - სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროგრამის დაფინანსება 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 10.0 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით 4.2 მლნ ლარის ოდენობით და შეადგენს 39.2 მლნ ლარს;
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის გამოყოფილია 1 000.0 მლნ ლარი (2014 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 125.0 მლნ ლარით, ხოლო 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით - 45.0 მლნ ლარით), რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია:

- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის - 645.2 მლნ ლარი (2015 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 56.9 მლნ ლარით);
- რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის - 225.7 მლნ ლარი 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 8.6 მლნ ლარით);
- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია - 119.2 მლნ ლარი;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 853.9 მლნ ლარი (2014 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 99.6 მლნ ლარით, ხოლო 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით - 25.0 მლნ ლარით), მათ შორის:
 - ზოგადი განათლების დასაფინანსებლად გამოყოფილია 497.9 მლნ ლარი (2015 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 18.1 მლნ ლარით), რომლის ფარგლებშიც ახალი სასწავლო წლიდან განხორციელდება მასწავლებელთა ხელფასების ზრდა (საბაზისო ხელფასი 50 ლარით, ხოლო სხვადასხვა კატეორიის მასწავლებელთა ხელფასი გაიზრდება 100-დან 200 ლარამდე). მასწავლებელთა ხელფასების ზრდა დაგეგმილია 2016 წელსაც.;
 - პროფესიული განათლების დასაფინანსებლად - 36,0 მლნ ლარი;
 - უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამების დასაფინანსებლად - 155,0 მლნ ლარი;
 - საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის - 120 მლნ ლარამდე;
- თავდაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 640 მლნ ლარი, 2014 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 24.1 მლნ ლარით, ხოლო 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით - 15.0 მლნ ლარით (სსიპ - სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ - დელტას და მისი კონტროლს ქვეშ მყოფი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსება გადატანილია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, ხოლო ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი წარმოდგენილია დამოუკიდებელ მხარჯავ დაწესებულებად);
- შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 615.0 მლნ ლარი (2015 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 15.0 მლნ ლარით);
- სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილია 291,0 მლნ ლარი, რაც მიმდინარე წლის გეგმაზე 27,5 მლნ ლარით მეტია. გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:
 - სამელიორაციო და საირიგაციო სისტემების განვითარებისათვის - 93.1 მლნ ლარი;
 - შეღავათიანი აგროკრედიტებისათვის - 32.4 მლნ ლარი;
 - მცირემძიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობისათვის - 50,0 მლნ ლარი;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 155,0 მლნ ლარი;
- ენერგეტიკის სამინისტროსათვის გამოყოფილია 125.0 მლნ ლარი (მშ. გაზიფიცირება 20,0 მლნ ლარი);
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გამოყოფილია 120,0 მლნ ლარი, (მშ. პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ 20,0 მლნ ლარი);

- საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 100,0 მლნ ლარი;
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 95.0 მლნ ლარი. მიმდინარე წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 15.0 მლნ ლარით, ხოლო 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით - 10.0 მლნ ლარით;
- იუსტიციის სამინისტროსთვის გამოყოფილია 68.5 მლნ ლარი (მიმდინარე წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 8.0 მლნ ლარით, ხოლო პირველ წარდგენასთან შედარებით 3.5 მლნ ლარით);
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და განსახლების სამინისტროსთვის გამოყოფილია 70.0 მლნ ლარი. მიმდინარე წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 22.0 მლნ ლარით, ხოლო 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით 10.0 მლნ ლარით, რომელიც მოხმარდება იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სახლების მშენებლობა-რეაბილიტაციას;
- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთვის გამოყოფილია 70.0 მლნ ლარი, რაც 2014 წლის ბიუჯეტის მოცულობასთან შედარებით გაზრდილია 16.1 მლნ ლარით,, ხოლო 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 15.0 მლნ ლარით, რომელიც მიმართული იქნება სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად;
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 39.0 მლნ ლარი (მიმდინარე წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 8,0 მლნ ლარით, ხოლო 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით 4.0 მლნ ლარით);
- მთავრობის ადმინისტრაციის დასაფინანსებლად გამოყოფილია 32,5 მლნ ლარი, მათ შორის გათვალისწინებულია კრიზისებისა და უსაფრთხოების საბჭოს აპარატის, ეკონომიკური საბჭოს აპარატის, საგადასახადო ომბუცმენისა და განათლების საერთაშორისო ცენტრის დაფინანსება (6,0 მლნ ლარი);
- ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილია 22,0 მლნ ლარი, რაც 2,0 მლნ ლარით აღემატება პროექტის პირველადი ვარიანტით გათვალისწინებულ თანხას;
- საერთო სასამართლოების დაფინანსება შეადგენს 50,0 მლნ ლარს, რაც 2,6 მლნ ლარით აღემატება 2014 წლის ასიგნებებს;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაფინანსება გაზრდილია 205,0 ათასი ლარით, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს ბიუჯეტი იზრდება 75,0 ათასი ლარით;
- ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დაფინანსება გაზრდილია 300,0 ათასი ლარით, ხოლო დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - 200,0 ათასი ლარით;
- დაზვერვის სამსახურისათვის გათვალისწინებულია 14,0 მლნ ლარი, რაც მიმდინარე წლის ასიგნებებს აღემატება 6,0 მლნ ლარით, ხოლო პროექტის პირველადი ვარიანტით გათვალისწინებულ თანხას - 2,0 მლნ ლარით;
- სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დაფინანსება შეადგენს 50,0 მლნ ლარს;

- სახახლო დამცველის აპარატისათვის გამოყოფილია 4,0 მლნ ლარი, რაც მიმდინარე წლის ბიუჯეტს აღემატება 1,6 მლნ ლარით;
- კონკურენციის სააგენტოსათვის გამოყოფილია 1,9 მლნ ლარი;
- პროექტის პირველად ვარიანტთან შედარებით გაზრდილია შემდეგი ორგანიზაციების დაფინანსება:
 - სსიპ - ვეტერეანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური - 3 450,0 ათასი ლარით;
 - სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო - 1 300,0 ათასი ლარით;
 - სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური - 1 000,0 ათასი ლარით;
 - პერსონალური ინფორმაციის დაცვის ინსპექტორის აპარატი - 850,0 ათასი ლარით;
 - სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი - 700,0 ათასი ლარით;
 - სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო - 200,0 ათასი ლარით;
 - სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო - 200,0 ათასი ლარით;
- ბიუჯეტში გათვალისწინებულია ა(ა)იპ - სოლიდარობის ფონდის ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება, რაც 260,0 ათას ლარს შეადგენს;
- სხვა მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსების მოცულობები, უმეტეს შემთხვევაში შენარჩუნებულია მიმდინარე წლის დონეზე;
- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის ჯამში გათვალისწინებულია 300,0 მლნ ლარი;
- მთავრობის სარეზერვო ფონდის მოცულობა პროექტის პირველად ვარიანტთან შედარებით შემცირებულია 20,0 მლნ ლარით და 2014 წლის ანალოგიურად განსაზღვრულია 50.0 მლნ ლარის ოდენობით.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერის მოცულობა გაზრდილია 58,1 მლნ ლარით და შეადგენს 854,0 მლნ ლარს. საქართველოს პარლამენტში გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით, გადამუშავებული პროექტის მიხედვით 2014 წელთან შედარებით არ მცირდება არცერთი მუნიციპალიტეტის ტრანსფერის მოცულობა.

ამასთან, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სსიპ-საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოზე დაკისრებული ფუნქციების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას და ადგილობრივ თვითმმართველს ერთეულებს ევალებათ 2015 წლის განმავლობაში სსიპ-საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს გადაურიცხონ თანხები, რომელიც არ უნდა იყოს 2014 წელს სახანძრო-სამაშველო სამსახურების ფუნქციონირებისთვის გათვალისწინებულ თანხაზე ნაკლები.

ბ) კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

–

ბ.ბ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

–

ბ.გ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

–

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება

–

ბ.ე) კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

–

ბ.ვ) კანონის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ ადგენს მათი განსაზღვრის წესს.

გ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

წარმოდგენილი კანონპროექტის ძირითადი პარამეტრები შეთანხმებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან.

დ.ბ) კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

წარმოდგენილი კანონპროექტი მოწონებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ;

დ.გ) კანონის პროექტის ავტორი

კანონის პროექტის ავტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დ.დ) კანონის პროექტის ინიციატორი

კანონის პროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.